პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № ----

ქ. ბათუმი ---- ---------- 2018 წ.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე, ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საცხოვრებელი სახლების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით გასატარებელი სპეციალური ღონისძიებების შესახებ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო"-ს დაკვეთით, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს მიერ განხორციელდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების საინჟინრო ექსპერტიზა და წარმოდგენილი დასკვნების თანახმად, ექსპერტიზა მიიჩნევს, რომ რამოდენიმე შენობა-ნაგებობის აღდგენა-გამაგრება გაუმართლებელია და გარკვეული საფრთხეების შემცველობის გამო მათი შემდგომი ექსპლუატაცია არ არის მიზანშეწონილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე, ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საცხოვრებელი სახლების ჩამონათვალი:

ა) ქ. ბათუმი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ.#3-ში მდებარე ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს 2018 წლის 27 ოქტომბრის #007469618 დასკვნა);

ბ) ქ. ბათუმი, გიორგი ბრწყინვალეს ქ.#48-ში მდებარე ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს 2018 წლის 05 ნოემბრის #007616118 დასკვნა);

2. დამტკიცდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე, ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საცხოვრებელი სახლების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით გასატარებელი სპეციალური ღონისძიებების ჩამონათვალი შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ დაუყოვნებლივ უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეების ვინაობის დადგენა, სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესწავლა და დროებითი საცხოვრებელი ფართის დაქირავებისათვის საჭირო ბინის ქირით უზრუნველყოფა;

ბ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ავარიული ფართების მესაკუთრეებისათვის სანაცვლო საცხოვრებელი ფართების შეთავაზება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საბინაო ფონდიდან და შესაბამისი სამართლებრივი აქტის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

გ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული საცხოვრებელი სახლების ლიკვიდაციის (დემონტაჟის) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და მათ ლიკვიდაციასთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

3. წინამდებარე განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართების გადაცემა ავარიული სახლის მესაკუთრეებისათვის მოხდეს გარემონტებულ მდგომარეობაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინა არ არის საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში (რემონტის გარეშეა), ავარიული სახლის მესაკუთრეებს გადაეცეთ საცხოვრებელი ფართის რემონტისათვის საჭირო თანხა 1კვმ-ში 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

„დამტკიცებულია“

თვითმმართველი ქალაქის _ ბათუმის
საკრებულოს განკარგულება
2010 წლის 29 ოქტომბერი №129

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში
მდებარე, ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი
საცხოვრებელი სახლების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით
გასატარებელი სპეციალური ღონისძიებების შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-ს დაკვეთით, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს მიერ განხორციელდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების საინჟინრო ექსპერტიზა და წარმოდგენილი დასკვნების თანახმად, ექსპერტიზა მიიჩნევს, რომ რამოდენიმე შენობა-ნაგებობის აღდგენა-გამაგრება გაუმართლებელია და გარკვეული საფრთხეების შემცველობის გამო მათი შემდგომი ექსპლუატაცია არ არის მიზანშეწონილი. ესენია: ა) ქ. ბათუმი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ.#3-ში მდებარე ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს 2018 წლის 27 ოქტომბრის #007469618 დასკვნა) და ბ) ქ. ბათუმი, გიორგი ბრწყინვალეს ქ.#48-ში მდებარე ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს 2018 წლის 05 ნოემბრის #007616118 დასკვნა);

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ უნდა დამტკიცდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე, ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საცხოვრებელი სახლების ჩამონათვალი (ზემოთაღნიშნული). ასევე დამტკიცდეს ამ სახლების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით გასატარებელი სპეციალური ღონისძიებების ჩამონათვალი რომელიც მოიცავს საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეების ვინაობის დადგენას, სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესწავლას და დროებითი საცხოვრებელი ფართის დაქირავებისათვის საჭირო ბინის ქირით უზრუნველყოფას, ავარიული ფართების მესაკუთრეებისათვის სანაცვლო საცხოვრებელი ფართების შეთავაზებას ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საბინაო ფონდიდან და შესაბამისი სამართლებრივი აქტის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენას. ასევე, საცხოვრებელი სახლების ლიკვიდაციის (დემონტაჟის) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას და მათ ლიკვიდაციასთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელებას. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ასევე მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საცხოვრებელი ფართების გადაცემა ავარიული სახლის მესაკუთრეებისათვის მოხდეს გარემონტებულ მდგომარეობაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინა არ არის საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში

(რემონტის გარეშეა), ავარიული სახლის მესაკუთრეებს გადაეცეთ საცხოვრებელი ფართის რემონტისათვის საჭირო თანხა 1კვმ-ში 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახებისათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფიდან გამომდინარე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე, ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საცხოვრებელი სახლების ლიკვიდაციასთან და იქ მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შემუშავება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქალაქ ბათუმის ბიუჯეტი.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გაიზრდება საკუთრებაში გადასაცემი ბინების (გააურემონტებელ მდგომარეობაში არსებობის შემთხვევაში) სარემონტო თანხების ოდენობით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქალაქ ბათუმის საკრებულო;
ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო".

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე